ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6110150

ნომერი: AR1920825

თარიღი : 02.09.2022

გაცემის თარიღი : 05.09.2022

გაცნობის თარიღი : 05.09.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, რეზო გაბაშვილის III გასასვლელი, N 28;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ჩიჩუა პ/ნ 01001060952
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ილორის ქუჩა, N 10, ბინა 7

ორგანიზაცია:

- შპს მწვანე სახლი დეველოპმენტი კოდი: 400290957

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 23 აგვისტოს №6092117 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 02 სექტემბერს №AR1920825 განცხადებით მომართა ქეთევან ჩიჩუამ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 23 აგვისტოს №6092117 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 23 აგვისტოს №6092117 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, რეზო გაბაშვილის III გასასვლელი №28-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.11.17.004.398), მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 23 აგვისტოდან 2022 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2022 წლის 23 აგვისტოს №6092117 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ: საცხოვრებელი ფართობი 833.8 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 1504.8 კვ.მ, საოფისე ფართობი 531.7 კვ.მ-ის ნაცვლად 521.9 კვ.მ., დამხმარე ფართობი 46.2 კვ.მ-ის ნაცვლად 83.5 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, საერთო ფართობი 3259.0 კვ.მ-ის ნაცვლად იქნება 3957.5 კვ.მ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 23 აგვისტოს №6092117 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს: 1504.8 კვ.მ., საოფისე ფართობად დაფიქსირდეს: 521.9 კვ.მ, დამხმარე ფართობად 83.5 კვ.მ., საერთო ფართობად: 3957.5 კვ.მ
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 23 აგვისტოს №6092117 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 23 აგვისტოს №6092117 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.